# ივერია

| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10— | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

აზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებით დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკია 'ში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვ ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893  საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი  1877—1893


კვირას 19 სექტემბერს, დილის 11 საათზე თავად-აზნაურთა ბანკის სადგომის დარბაზში მოხდება

**წლიური კრება**

ქართველ დრამატიულ საზოგადოების წევრთა.

საგანნი განხილვისა:

1) წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა
2) მომავალის წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა
3) ამორჩევა კომმისიებისა.
4) ამორჩევა ახალთა წევრთა.

## ტფილისი

9 სექტემბერს

მთელის ევროპის ყურადღება მიქცეულია ამ ჟამად საფრანგეთზე. იქ მიელიან რუსეთის ესკადრას, რომელსაც ფრანგები აპირობენ ისე შნოიანად და სადღესასწაულოდ დაჰხვდნენ, როგორც მართლა მარტო ფრანგებს შეუძლიანთ. ადმირალ აველანის ესკადრის პატივსაცემად ემზადება არა მარტო ტულონი, სადაც მივა რუსის სამხედრო გემები, არამედ პარიჟი და მთელი საფრანგეთი. ყოველის მხრითგან აპირობენ გამოუცხადონ რუსის ადმირალს უგულითადესი თავისი თანაგრძნობა და აღტაცება.

თუმცა გაზეთები სამთა კავშირის სახელმწიფოთა არავითარს მნიშვნელობას არ აძლევენ ადმირალ აველანის სტუმრობას ტულონში და ამბობენ: ეს უბრალო და ჩვეულებრივი ზრდილობის წესია რუსის ნავოსანთაგან, რომელთაც უნდათ შარშანწინდელი ვიზიტი ადმირალის ჟერვესი გადუხადონ, მაგრამ ასე არა ფიქრობს ზოგიერთი ინგლისური გაზეთი. ისინი ამბობენ: ეხლა ცხადია, რომ რუსეთსა და საფრანგეთს შორის საზღვაო კავშირი არსებობსო, და ეს სახელმწიფოები, ორივე ერთად შეერთებული, რასაკვირველია, უძლიერესი იქნება ზღვაზე, ვიდრე ინგლისიო. ამიტომ, ამბობს გაზ. Daily Telegraph, საჭიროა ინგლისმა ეხლავე განსხვავებული დონე იხმაროს, გააძლიეროს თავისი ფლოტი და შეუერთდეს სამთა კავშირსაო.

ასეთი მუქარა, ვფიქრობთ, რუსეთის მთავრობისათვის ახალი არ უნდა იყოს. რუსეთის დიპლომაციამ დიდი ხანია იცის, რომ ინგლისი თანაუგრძნობდა სამთა კავშირს და არც შეეძლო მოქცეულიყო სხვა გვარად, რადგანაც ინტერესები ინგლისისა, ერთის მხრით, და ინტერესები რუსეთისა და საფრანგეთისა, მეორეს მხრით, სრულიად ეწინააღმდეგება ერთმანერთს.

რუსეთის მთავრობას უთუოდ არც ის გაუკვირდება, რომ ხვალ სტამბოლიდამაც ასეთი ამბავი მოვიდეს: „ჩვენც იძულებული ვართ მივემხროთ სამთა კავშირსაო“. ესეც რუსეთის პოლიტიკის მეთაურთა წინადვე აქვთ დანახული და აწონილი.

მაგრამ რუსეთის მთავრობა მაინც საქვეყნოდ აღიარებს ფრანგებთან კავშირისა და მეგობრობის სურვილს და, ვგონებთ, დიპლომაციამ კარგად უნდა იცოდეს, რასაც სჩადის.

მეველე

## ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ

სექტემბრის 8-ს, დილით, ტფილისში სულ ხუთი ხოლერით ავადმყოფი იყო; მათ შორის 2 ტფილისს გარედ გამხდარა ხოლერით ავად.

ტფილისის გუბერნია

ტფილისის მაზრის სოფელ საცხენისში სექტემბრის 5-ს ხოლერით ავადმყოფი 2 იყო და ორივენი მორჩნენ.

სიღნაღის მაზრის სოფელ ჩაილურში, როგორც დეპეშით იუწყება მაზრის უფროსი, სექტემბრის 6-ს ხოლერის მსგავსის ავადმყოფობით ორი კაცი გარდაიცვალა.

ქუთაისის გუბერნია

ქალ. ფოთში აგვისტოს 29-ს ერთი ხოლერით ავადმყოფი იყო. სექტემბრის 4-მდე კიდევ 1 კაცი გახდა ხოლერით ავად. ერთი კვირის განმავლობაში მათგან ერთი მორჩა და ერთი გარდაიცვალა. სექტემბრის 5 ფოთში ხოლერით ავადმყოფი აღარ იყო.

შორაპნის მაზრაში იყო 2 ავადმყოფი. აგვისტოს 29-დამ სექტემბრის 4-დე ხოლერით ავად გახდა შვიდი კაცი, მათგან ერთ კვირის განმავლობაში 2 მორჩა და 6 გარდაიცვალა. სექტემბრის 5-ს მაზრაში ერთი იყო ხოლერით ავადმყოფი.

# ახალი ამბავი

*** წელს ტფილისის სათავადაზნაურო სკოლიდამ სულ 5 შეგირდი იჯერდა ეგზამენს მთავრობის გიმნაზიებში. ხუთივეს ოთხი პროგიმნაზიული კლასი ჰქონდა გათავებული. ამათში მიიღეს სულ 4 ყმაწვილი: ერთი მეხუთე კლასში და დანარჩენი სამიც—მეოთხეში.

*** 4 სექტემბერს კრება ჰქონდა ქალაქის სამოსწავლო კომიტეტს. კრებაზედ გადასწყდა, სხვათა შორის, რომ ინსპექტორს სახელოსნო სასწავლებლისას მოემატოს წელიწადში 240 მანეთი სახლის ქირა, რადგან ჯამაგირი არა აქვს საკმარისიო.

*** ახალმოშენეი კუკიისა, რომელთა უბანს დაერქვა სახელად „ნაძალადევი“, ეკკლესიის აგებას აპირობენ თავიანთთვის და, როგორც მკითხველებმა იციან, თხოვნაც მიართვეს ქალაქის გამგეობას—ადგილი დაგვითმე ათას-ორასი ოთხ-კუთხი საჟენი ეკკლესიისა და სკოლისათვისაო. გამგეობამ ითხოვა ნებართვა საქართველოს ეგზარხოსისა. მისმა მაღალყოვლად უსამღვდელოესობამ სცნო, რომ იმ ადგილას კარგი იქმნება ეკკლესია, და უბრძანა ტფილისის ბლაღოჩინს მამა შოშიაშვილს შეადგინოს აღმაშენებელი კომისია ეკკლესიის ასაგებად, ხოლო მანამდე გაკეთდეს ნიშიო. თანხმად ამ ნებართვისა, „ნაძალადევის“ ახალმოშენეთ განაახლეს წინანდელი თხოვნა.

*** ქუთაისის მკურნალს ბ-ნს ნაზაროვს მიწერილ ექმნა წავიდეს ეხლავ შორაპანში და თვალ-ყური ადევნოს იქიდგან მომავალ მუშებს, რადგანაც ჭიათურის რკინის გზის შტოზედ ხოლერა ვრცელდება და სასურველია იქიდგან საეჭვო ავადმყოფი არავინ არ წამოვიდეოს. ჭიათურის გზაზედ ხოლერიანთათვის აშენებულია თავშესაფარი და ავადმყოფები ექიმმა ნაზაროვმა იქ უნდა დააწვინოს.

*** ამ მოკლე ხანში გამოცხადდება და ერთის თთვის შემდეგ დაკანონდება კიდეც წესი შესახებ მარგარინისა და ყალბის ერბოს კეთებისა.

*** ხაშური: 8 სექტემბერს აქ ავად გახდა ხოლერით ინდო-ევროპის ტელეგრაფის მექანიკოსი კენიგი.

*** სვირი: 8 სექტემბერს რკინის გზის ლიანდაგის ახლოს ჰნახეს ერთი კაცი, რომელიც ხოლერით ავადმყოფი აღმოჩნდა.

*** სოფ. ტეზერი: 8 სექტემბერს აქ საეკკლესიო დღესასწაული იყო—ღვთისმშობლობა. თუმცა დღესასწაულმა კარგად ჩაიარა და დიდძალი ხალხი დაესწრო წირვას, მაგრამ უბედურობა მაინც არ აგვცდა. საღამო ხანზე, როდესაც ხალხი თავთავის სახლში ბრუნდებოდა, და უნდა გადაევლოთ რკინის გზის ლიანდაგზე, რკინის გზის ლიანდაგთან იყო წესიერების დასაცველად ჟანდარმი. ამ დროს გამოიარა საქონლის მატარებელმა. კონდუქტორს ქიქოძეს, რომელიც ყოფილიყო დღეობაში, უნდოდა შემხტარიყო მატარებელზე, მაგრამ ჟანდარმმა ნება არ მისცა და გადმოათრია. ქიქოძემ ხანჯლით დასჰკრა ჟანდარმი და ჟანდარმმაც რევოლვერი ესროლა. ქიქოძე მძიმედ დაჭრილია მუცელში და მორჩენის იმედი არა აქვთ.

*** გაზეთ Кавказъ-ში დაბეჭდილია წერილი ქუთაისის გუბერნიის კანცელარიის მმართველის ხარლამოვისა. ბ-ნი ხარლამოვი სწერს, სხვათა შორის: „გაზეთებში ამას წინად დაბეჭდილი იყო ცნობა შესახებ იმისა, რომ სენაკის მაზრაში ხოლერის ამბავმა ხალხს შიშის ზარი დასცა და ხოლერიან ავადმყოფთ არავინ ეკარებოდაო. დაბეჭდილი იყო აგრეთვე, რომ გვამი მიხეილ ბოგილავასი, რომელიც ხოლერით გარდაიცვალა, უპატრონოდ ეგდო 15 აგვისტომდე და ძაღლებმა შესჭამესო“.

საქმე სრულიად ასე არა ყოფილა. მიიღო თუ არა მთავრობამ ამბავი იმის შესახებ, რომ მარტვილში ხოლერა გაჩნდაო, იმ წამსვე გაგზავნა სენაკიდგან ფერშალი, შემდეგ მაზრის ექიმი ჯერ მარტო და მერე ქუთაისის საგუბერნიო მკურნალის თანაშემწე გარნოვსკისთან ერთად. გარდა ამისა შემდეგ გაგზავნილ იქმნენ ქუთაისიდგან ექიმები საზონოვი და სეგალი. იმ თავიდგან ავადმყოფნი სრულიადაც არა ყოფილან ღვთის ანაბარად დატოვებული. მაგ. ადგილობრივ ბოქაულის მეუღლე თავისა და შემოწირულის ფულით ჰყიდულობდა კონიაკს, ჩაის, შაქარს, პურსა და თვითონ ურიგებდა ავადმყოფთ. რაც შეეხება იმას, რომ ხოლერით გარდაცვლილის გლეხის ბოგილავას გვამი ძაღლებმა შესჭამესო, ეს ამბავი ტყუილია. ბოგილავა გარდაიცვალა 3 აგვისტოს და მეორე დღესვე დაასაფლავეს, ბოქაულის თანადასწრებით, რომელიც სოფ. სალხინოდგან მოვიდა. ხოლერით გარდაცვალებულთა გვამებს საერთო სასაფლაოზედ ასაფლავებდნენ, ბოქაულისა ანუ მის თანაშემწეს თანადასწრებით და ამასთანავე არ იყო დავიწყებული სასანიტარო წესებიც“.

## შეცდომის გასწორება

ივერიის 191 №-ში განჯიდგან გამოგზავნილ ფულის სიაში შეცდომით არის დაბეჭდილი: არის: სარდიონ ჩუმბურიძემ—1 მან., უნდა იყოს სამი მანეთი.

## მთავრობის განკარგულებანი

უმაღლესად ებოძათ:

ორდენი წმ. ანნასი მეორე ხარისხისა: არტაანის ოლქის პოსსოვის ნაწილის უფროსს ნადვორნი სოვეტნიკს თავ. მიხეილ ხერხეულიძეს.

ორდენი წმ. ანნასი მესამე ხარისხისა: ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის რეგისტრატორს დავით გრიგოლიას და იმერ კასპის საინტენდანტო მმართველობის ბუჰგალტერს კოლლეჟსკი სოვეტნის ალექსანდრე კალატოზიშვილს.

# დამაკვირდი

ეცადე მზის ამოსვლას დაესწრო, იმიტომ რომ ვერ იცი დაესწრობი თუ არა მის ჩასვლას.

პითაგორი

**

იშვიათია, რომ თავის შესახებ ჭეშმარიტების მოსმენა კაცს იამოს.

სეგური

# შორიდან

საკვირველია და საოცარი ჩვენი ბედი! აგერ თხუთმეტი საუკუნე მიდის მას აქეთ, რაც საქართველო გაბრწყინდა ქრისტეს მოძღვრებით; რამდენი შავი და მწარე დღე უნახავს ქართველს მართ-მადიდებელ სარწმუნოების დასაცველად, და დღეს, როდესაც ყველა დაწყნარდა, დამშვიდდა, გარეშე მტერი ქრისტეს სარწმუნოებისა დაითრგუნა, სწორედ ამ დროს გული გაგვიგრილდა და ძველებურის სასოებით ველარ ვეპყრობით ველარც წირვა-ლოცვას და ველარც საეკკლესიო გალობას. ამიტომ ერთიც და მეორეც თითქმის ხელიდან გვეცლება, წარმატების მაგიერ შეფერხდა და განქრობას ჰლამის.

ამავე დროს სხვაგან, უცხოეთში, შორს ჩვენის ქვეყნიდან, იაპონიაში, მართლ-მადიდებლობა ფეხს იკიდებს, მაგრდება. იაპონიაში სულ ათი თხუთმეტი წელიწადია, რაც მართლ-მადიდებლობა დამყარდა თითო-ოროლა ალაგას და აბა მოისმინეთ, რა სასიამოვნო ამბებს იწერება იქიდან ერთ რუსულ გაზეთში ბ-ნი დევოლლანი:

„ერთი შენობაა ტოკიოში (იაპონიის სატახტო ქალაქში), რომელსაც ყოველი რუსი სასოებით და ეროვნულის თავმოწონებით უცქერის: ეს გახლავთ მართლ-მადიდებელი ტაძარი. ტაძარი მთელ ქალაქს არწივივით ზემოდან დასცქერის. ამ ბრწყინვალე ტაძრის აგება და მართლ-მადიდებლობის გავრცელება იაპონიაში მარტო ერთის ადამიანის, ეპისკოპოზ ნიკოლოოზის ღვაწლიაო, ამბობს ბ-ნი დე-ვოლლანი.

ტაძრის ახლოვე აუშენებია ეპისკოპოზს სკოლა ქალებისა და ვაჟებისათვის. მასწავლებლები სკოლისა იგივე ეპისკოპოზია და მისი თანაშემწენი. მოწყობილობა სკოლისა სწორედ იაპონურია: არაფერი არ მოგაგონებს უცხოეთიდან გადმონერგილსა, როგორც სწავლა სკოლაში, ასე წირვა-ლოცვა ტაძარში იაპონურ ენაზე სწარმოებს. ეპისკოპოზ ნიკოლოოზს შეუდგენია მშვენიერი საეკკლესიო ხორო იაპონელთაგან, ქადაგებასაც ეკკლესიის კათედრიდან ამბობს იაპონურად. რუსი გაჰკვირდება, როცა მოისმენს მშვენიერ მწყობრ გალობას მართ-მადიდებელ იაპონელთა და დაინახავს იმ მხურვალე სასოებას, რომელსაც იაპონელნი იჩენენ ლოცვის დროს. ყველა ამის მნახველი უსათუოდ იტყვის, რომ ეპისკოპოზ ნიკოლოოზს მკვიდრ საფუძველზედ დაუყენებია იაპონიაში მართ-მადიდებლობა და კიდეც რომ შესწყდეს შეწირულება რუსეთიდან, თვით იაპონელნი თავს მოიკლავენ და მართ-მადიდებლობის ლამპარს არ ჩააქრობენო, ამბობს კორრესპონდენტი.

დიაღაც, ვიტყვით ჩვენც, ლამპარი მართ-მადიდებლობისა არ ჩაქრება, რაკი საქმე ასე გონივრულად არის წარმოებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გაფრთხილება

ჩვენს ლექსიკონში სამი უწმინდესი სიტყვაა: დედა, მამა, დედა-მიწა. ძველი ქართველი, როგორც არ გაჰყიდდა დედ-მამას, არ გაჰყიდდა მიწასაც. მიწაც დედად ჰქონდათ დასახული, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მსყიდველად აღმოჩნდებოდა მეზობელი, ანუ თვისივე გვარ-ტომის კაცი. მაშინ უდიდეს დარისხებად ჩაითვლებოდა სიტყვა: „დედა შეერთოს ცოლად“ ანუ „ოჯახი დაექცეს“, „დედა-მიწამ შთანთქას“, „მამულის მოლალატე“ და სხვ.

ყველა ეს იმას გვასწავლის, რომ ქართველებს უწმინდესად ჩაურიცხავთ დედა და დედა-მიწა (იგივე მამული და ოჯახი). და მართლაც, ვინ არ იცის, რომ ქართველები მედგრად იბრძოდნენ მოსეულ მტრის წინააღმდეგ, რათა მისთვის არ დაენარჩუნებინათ არც ერთი მტკაველი მიწა თავის მშვენიერ და საყვარელ მამულ-დედულისა. ძველი ქართველისთვის ტკბილი იყო ეს დედულ-მამული, ტკბილი დედ-მამასავით. ქართველნი მტკიცედ მკვიდრობდნენ მასზე და სასოებდნენ, რომ განკითხვის დღეს იგივე მიწა, მშობელ დედასავით, თვის გულში ჩაიკრავდა მათს ნაშთს. და ამიტომაც მამულ-დედულის მოშლა მიაჩნდათ ოჯახის დაქცევა-დანელებად, გაოხრება-დანგრევად და მამა-პაპათა სამარხავის შეგინება-შებილწებად.

დღეს-ღა რაღას ვხედავთ? დღეს ვხედავთ, რომ აწინდელნი ქართველნი გაგულგრილებულან, საყვარელ დედა-მიწას გერი შვილივით უცქერიან და თავ-აღებულად ჰყიდიან, დაუხედავად მისა—მტერია იგი კაცი, თუ მოყვარე, თვისიანია, თუ უცხოელი. ჰყიდიან რას?—იმას, რაც ჩვენ, ჯერ კიდევ უსუსურთ, ძუძუს გვაწოვებს, გვაჭმევს, გვასმევს, გვზრდის, ტლედ და ნავთსაყუდლად გვედება.

Земледѣльческая газета-ში (№ 34, 1893 წ.) მეთაურად დაბეჭდილია გრძელი წერილი კახეთის ახალის მემამულე ბ-ნ ასტაფიევისა ამ სათაურით: „Сельское Хозяйство въ Кахетіи“. ამ წერილში ავტორი რუსეთის მემამულეთ, ანუ მამულის შეძენის მსურველთ, უხატავს კახეთის სამკვიდრებლის სიმდიდრე-სიუხვე-სიმშვენიერეს, მისს აწინდელ მკვიდრთა სიღატაკეს, მცონარეობას და უვიცობას; ზვიადობით აღნიშნავს აქაურ ერის-მიერ მამულების დაყიდვას ჩალის ფასად, ამ მამულების ნაოხრობას და იწვევს მსურველთ დაესწრაფონ მოდენას, რათა იაფად შეიძინონ ძვირფასი მამულები. იჩქარეთო, ღაღადებს ავტორი, აქ მალე რკინის გზას გამოიყვანენ და მაშინ ძნელი და ძვირი იქნება მამულის შეძენაო. ვისაც ჭკუაში მოგივათ ჩემი სიტყვა, დაუყოვნებლივ გამოემგზავრეთ, კავკავამდის რკინის გზით მოხვალთ, იქიდგან 10—12 მანათად ჩამოხვალთ ტფილისამდე, მერე 2—3 მანათად ამოხვალთ თელავს და ეს-კი კახეთის გულიაო. იქიდგან ჩემ მამულამდე *) ოციოდე ვერსია და მე მიგიღებთ და გიხელმძღვანელებთო, გზას უხიფათოდ გამოივლითო, რადგან ქართველები მშვიდობიანი ერიაო და სხ. და სხ.

ახლა ჩვენ ეს ვიკითხოთ: ზოგმა რომ კახეთის მამულები ვყიდოთ, ზოგმა ქართლისა, იმერეთ-აჭარისა, ჩვენმა შვილებმა, შვილისშვილებმა სადღა და როგორღა იბრუნონ სული? სადღა და როგორღა მოილოცონ და მოიხსენიონ ძვალნი თვისთა მამა-პაპათანი? სადღა და როგორღა ჩადგან კერა მამულისა და მამულიშვილობისა? ნუ თუ ჩვენ, მართლა, ისეთნი ბედოვლათნი ვართ, რომ მამა-პაპათაგან სისხლის ოფლით დატოვებული სამკვიდრებელი უშურველად ვფლანგოთ? გავუფრთხილდეთ ჩვენს მამულებს, გაჭირვება მოვითმინოთ, თუ გვინდა ერად დავრჩეთ და არ გადავიქცეთ ბოშებად, რომელთაც არც მიწა აქვთ და არც სამშობლო. მამულის გაყიდვა ფუფუნებით საცხოვრებლად ისეთივე ცოდვაა, ვითარცა გაყიდვა მამისა და დედისა.

ესომ

*) იმავე წერილიდგან სჩანს, რომ ასტაფიევს ხუთის წლის განმავლობაში კარგი მამული შეუძენია კახეთში.

## რუსეთი

პეტერბურგის გუბერნიაში 152 ადამიანს მოუკლავს თავი წლის განმავლობაში. ამათ შორის ოცი დედაკაცი ყოფილა.

—

გამოცხადდა განკარგულება, რომლის ძალითაც იურის უნივერსიტეტში (დერპტში) წარდგენილი დისერტაციები რუსულ ენაზედ უნდა იქმნას დაწერილი.

## პოლიტიკა

ფრანგული გაზეთი Journal des Débats აცხადებს, რომ ფრანგები იმითაც კმაყოფილნი არიან, რომ რუსეთი ასეთ სიყვარულსა და მეგობრობას იჩენს ფრანგებისადმი. თუნდაც მართალი იყოს, რომ რუსეთი თავის პირადის ანგარიშისთვის გვიცხადებს სიყვარულს და კავშირს; არც ეს არის ცუდი, რადგან ყოველი ქვეყანა თავისთვის ზრუნავს.

ჩვენ ვნუგეშობთ იმით, რომ მარტონი არა ვართ. მეგობრობა ⁊ სიყვარული ხალხთა შორის დამოკიდებულებაში ამსუბუქებს მწუხარებას და არის თავმდები მშვიდობიანობისა.

—

ინგლისურმა გაზეთმა Daily Telegraph-მა-კი სხვა გვარად შეჰხედა ამ საგანს: საფრანგეთისა და რუსეთის ზღვის ძალა, ერთად შეერთებული, აღემატება ჩვენს ძლიერებას ზღვაზე და საშიშოა ინგლისის ინტერესებისათვისაო. ამიტომ ჩვენ ვთხოულობთ, რომ ინგლისი მიემხროს სამთა კავშირს. ხოლო რუსეთსა და საფრანგეთს შუა რომ ზღვათა საქმეში კავშირი შეკრულია—ეს უეჭველიაო.

—

როშფორი სწერს თავის Intransigeant-ში, რომ სამთა კავშირისა და ინგლისის გემები სამაგიერო დემონსტრაციას აპირობენ ადრიატიკის ზღვაზე, რათა აგრძნობინონ რუსეთსა და საფრანგეთს.

—

ინგლისური გაზეთი Standard-ი იუწყება, რუსეთი მალე შეატყობინებს ქვეყანას, რომ საფრანგეთის წილ ხმელთა შუა ზღვაში იგი იქონიებს ამიერითგან ნავთ-სადგურს. ავსტრიას ეს აზრი აფიქრებს და რუსეთის ასეთი სურვილი მიაჩნია მუქარად ოსმალოსა და ბალკანის ქვეყნებისათვის.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** გენერალ მირიბელის სიკვდილმა მთელი საფრანგეთი შეაწუხა. მირიბელი დანიშნულ იქმნა შტაბის უფროსად გამბეტის მთავარ-მინისტრობის დროს. მაშინ მირიბელი 50 წლისა იყო. მირიბელის სიკვდილით საფრანგეთს მოაკლდა გენიოსი ორგანიზატორი, დაუღალავი მშრომელი და მტკიცე ხასიათის კაცი.

—

კლემანსოს თავის თავი დამარცხებული არ მიაჩნია. „შემთხვევაა ესო, სთქვა თურმე კლემანსომ იმის გამო, რომ იგი არ იქმნა დეპუტატად არჩეული.—ვითომ რაო? როცა კაცი იბრძვის, განა სავალდებულოა, რომ მუდამ გამარჯვებული ის იყოს?“ 3 სექტემბერს მთელის დღის განმავლობაში კლემანსო დარწმუნებული იყო, რომ ჩემი გამარჯვება ყოველსავე ეჭვ-გარეშეაო. საღამოს 7 საათამდე თავისი თავი ნამდვილად არჩეული ეგონა, მაგრამ მოვიდა თუ არა პირველი დეპეშა დრაგინიანიდამ, მიხვდა, რომ საქმე წაგებული იყო. დეპეშა უფრო და უფრო ამტკიცებდა ამ სამწუხარო ამბავს. მეგობარნი მისნი მეტის-მეტად შესწუხდნენ, ხოლო თვით კლემანსოს არა ეტყობოდა-რა და საკვირველის გულ-დამშვიდებით და თავ-დაკავებით ემუსაიფებოდა თავის მეგობრებს. საპარლამენტო ბრძოლაშიაც სწორედ ეს გულის სიმშვიდე ჰშველოდა დიდად ამ შესანიშნავს მოღვაწეს. როცა მისი დამარცხება ეჭვ-გარეშე აღარ იყო, კლემანსო დამშვიდებული დაბრუნდა პარიჟს და ისე შეუდგა რედაქტორობის მოვალეობის ასრულებას, თითქო არავითარი ამბავი არ მომხდას რაო. რედაქციაში დადის ყოველდღე და გულ-მოდგინედ ეპყრობა გაზეთის საქმეს. ამბობენ კლემანსოს განზრახვა აქვს, თავის რადიკალურ მიმართულებას უფრო მხნედ მიჰყვეს და გაზეთის ფასი მხოლოდ ერთი სუ ($1^1/_4$ კაპ.) უნდა დანიშნოსო.

მაგრამ საქმე ის არის, რამდენ ხანს ენდობა კიდევ ქვეყანა Iustice 'შესანიშნავ სულის-ჩამდგმელს რედაქტორს? ის არ ვიცით, რამდენად მართალია, მაგრამ კლემანსოს მტრებმა საკმაოდ-კი შეარყიეს სახელი ამ დიაღ შესამჩნევ საპარლამენტო მოღვაწისა.

—

საფრანგეთის გაზეთები ბევრსა სწერენ იმის შესახებ, თუ რა ძალა ექნებათ სოციალისტებს ახალ პალატაში. გაზ. Matin-ი ურჩევს ზომიერ რესპუბლიკელთ მიემხრენით რადიკალებს, თორემ ისინი სოციალისტებს შეუერთდნენო. ეს რჩევა არ მოსწონთ რესპუბლიკელთ და თვით რადიკალებიც არ თანაუგძნობენ. „მართალია, აქამომდე ორგვარ პოლიტიკის მიმდევნი ერთმანერთს შეუერთდებოდნენ ხოლმე, რომ ერთად გაეცათ პასუხი საერთო მტრისათვის, მაგრამ ეს სხვა-და-სხვა დასთა დროებითი დაკავშირება უკვე მოიშალაო, ამბობს პელტანი. ეს მტერი დამარცხებულია, იარაღი აეყარაო. შესაძლოა მხოლოდ ერთმანერთს მიემხრონ რესპუბლიკელნი სხვა-და-სხვა შეხედულობისა და ისე-კი საფიქრებელი არ არის, რომ რადიკალი ანუ რესპუბლიკელი, დემოკრატთა აზრით გამსჭვალული, მოურიგდეს იმ პოლიტიკას, რომლის ბურჯად ლეონ სე არის და რომლის ერთგულნი ეხლა მარჯვენა დასის შუაგულს შეადგენენ. რას ურჩევს ბურდო რადიკალებს: სოციალური ⁊ საპოლიტიკო კანონები შეაწყნარებინოს პალატას?—სრულიადაც არა. იმათ უნდათ ისეთი მთავრობა იყოლიონ, რომ სოციალისტებთან ბრძოლა შეეძლოს. უმთავრესი საპოლიტიკო საკითხი ეხლა ის არის: ვისი მხარე ეჭირება რესპუბლიკის მთავრობას? სოციალისტებს დაუწყებს ბრძოლას, რომ მათ სასურველი რეფორმები არ შემოიღონ, თუ, პირ-იქით, მთავრობა უძლურთა დამხმარებელი იქმნება ფეოდალების წინააღმდეგ?“ გაზეთი Temps-ი აბრალებს საფრანგეთის სოციალისტებს, ვითომც ისინი მოქმედობდნენ თანხმად ბერლინიდგან მოსულ ჩაგონებისა და ვითომც მათი კანდიდატნი არჩეულ იქმნენ გერმანელთა ფულით.

—

**გერმანია.** იმპერატორმა ვილჰელმმა წარმოსთქვა კარლსრუეში სიტყვა და ერთხელ კიდევ მოიხსენა, რომ ჩემი საზრუნავია დავიცვა მშვიდობიანობა არა მარტო გერმანიისათვის, არამედ მთელის ქვეყნიერობისათვისაო. ამასთანავე თითქო წამოსცდა ერთი ორ-აზროვანი სიტყვაც: „რაკი ამ მოვალეობას შევასრულებთ, შეგვიძლიან ვსთქვათ ჩვენს თავზე: ყმაწვილობიდამვე ძალას მატანდნენ ისინი, მაგრამ ვერ-კი მძლიესო“. ცხადად არა სჩანს, ვინ ისინი? შესაძლოა, რომ ეს სიტყვები პასუხი იყოს ეხლანდელ რუს-ფრანგთა მანიფესტაციისა.

—

**ინგლისი.** ინგლისში დედაკაცი მხნედ იბრძვის, რომ მიიღოს უფლება საყოველთაო კენჭის ყრისა. არის ინგლისში ერთი საზოგადოება, რომელსაც ეწოდება Womens-Emancipation. ამ საზოგადოებამ აირჩია დეპუტაცია ქ-ბ-ნის ელმის მოთავეობით და მიანდო, მიართვი[ა] საზოგადოებათა პალატაში კონსერვატორ დეპუტატს მ. კურტნეის პეტიცია პარლამენტში წასაკითხადაო. დეპუტატმა იტვირთა ეს მოვალეობა, მაგრამ წინადვე აუწყა პატივცემულ მანდილოსანთ, არა მგონია რომ ამ ჟამად, როცა პარლამენტს ჯერ ისევ ირლანდიის საქმე აქვს გადასაწყვეტი, ამ თქვენს თხოვნას მოჰკიდოს ხელიო. გარნა ამასთანავე დეპუტატმა სთქვა, რომ ყოველ წლობით, ყოველ თთვეობითა და ყოველ საათობით თქვენი საქმე ცოტ-ცოტად წინ მიდის და უნდა დარწმუნებულნი იყვნეთ, რომ გამარჯვება დიდხანს აღარ გალოდინებთ; ყოველი საარჩევნო რეფორმა ცოტას რასმე ჰმატებს მანდილოსანთა უფლებას, რომელიც თანდათან იზრდება და მატულობს. ლოღიკა და საქმის ვითარება აიძულებს კანონმდებელს, ამ გზას არ გადაუხვიოს და „დაჰკრავს ჟამიცა“!

## ნარკვევი

ჟურნალის Сѣв. Вѣстн.-ის უკანასკნელ წიგნში დაბეჭდილია წერილი გრაფის ლ. ტოლსტოისა შესახებ იმ სიტყვისა, რომელიც წარმოსთქვა ემილ ზოლამ საფრანგეთის ახალგაზდობის მიმართ და ა. დიუმას წერილისა.

ზოლას სიტყვა შემოკლებით იყო დაბეჭდილი ჩვენს გაზეთში. ზოლა ურჩევს ახალგაზდობას, გიყვარდეთ მეცნიერება და შრომა და გრწამდეთ, რომ ეს ორი საგანი ერთადერთი მხსნელია კაცობრიობისაო. გრ. ლ. ტოლსტოი ამ აზრს არ ეთანხმება.

საქმე ისაა,—სწერს ტოლსტოი,—რომ სიტყვა „მეცნიერება“ ყველას ერთნაირად არ ესმის. ის, რაც ერთს მეცნიერებად მიაჩნია, ე. ი. ფრიად საჭირო და სასარგებლო საქმედ, დანარჩენ უმრავლესობისათვის და მთელ მუშა ხალხისთვის სრულიად არა საჭირო და გამოუყენებელია. ვერ ვიტყვით, რომ ამ განსხვავების მიზეზი მარტო ხალხის გაუნათლებლობა იყოს. თვით მეცნიერნი და მსწავლულნი ერთმანერთს ეწინააღმდეგებიან. ერთნი ამბობენ, მეცნიერებად მხოლოდ ფილოსოფია, ღვთისმეტყველება, საპოლიტიკო ეკონომია და იურისპრუდენცია ჩაითვლებაო; მეორენი ამტკიცებენ, ყველა ეგ მეცნიერება-კი არა, სისულელეა და ნამდვილი მეცნიერება მხოლოდ სპირიტუალიზმია და სხვ. ესეც არაფერი. ყველამ კარგად ვიცით, რომ მეცნიერნი და მსწავლულნი ერთისა და იმავე საგანზედაც-კი, არ ეთანხმებიან ერთმანერთსა. ვსთქვათ, კიდეც დაეთანხმნენ, ერთხმად წარმოსთქვეს თავიანთი აზრი რომელსამე საგანზედ. გაივლის ორიოდ ან ათიოდ წელი და მათ მიერ წარმოთქმული, ვითომ და უტყუარი აზრი ტყუილი გამოდგება. ყველამ ვიცით აგრედვე, რომ რომაელთ საჭირო და აუცილებელ მეცნიერებად მიაჩნდათ რიტორიკა და ჩვენ-კი ეხლა რიტორიკა სასაცილოდ მიგვაჩნია. ვიცით აგრედვე, რომ საშუალო საუკუნეებში სხოლასტიკა მეცნიერებად იყო აღიარებული და ჩვენ-კი ეხლა ამავე სხოლასტიკას დავსცინით. აგრედვე ადვილად შესაძლებელია, რომ, რაც ეხლა ჩვენ მეცნიერებად მიგვაჩნია, თვით იმას დასცინებს და უარჰყოფს შემდეგში ჩვენი შთამომავლობა.

შემდეგ შესახებ შრომისა, რომელსაც ზოლა ურჩევს ახალგაზდობას, გრ. ტოლსტოი სწერს:

ძლიერ მაკვირვებს დასავლეთ ევროპაში დამყარებული აზრი, ვითომ ერთადერთი სათნოება შრომა არისო. ვიდრე ზოლა თავის სიტყვას წარმოსთქვამდა ამ საგანზედ, უკვე ვიცოდი ეს აზრი ევროპიელთა და მიკვირდა, რად მიაჩნიათ შრომა სათნოებადა? ზოლა ამბობს, შრომა კაცის გულს აპატიოსნებსო. მე-კი სრულიად წინააღმდეგსა ვხედავ ცხოვრებაში. ცნობიერი შრომა კაცს ამაყებს და აბოროტებს. განთქმული აგაზაკები ერთს წუთას არ დარჩენილან უსაქმოდ და ყოველთვის დარდსა და ფიქრში ყოფილან. ვერ ვიტყვით, რომ შრომა სათნოება იყოს, როგორც მაგალითად საზრდოობაზედ ვერ ვიტყვით, სათნოება არისო. თუ ამ ჟამად შრომა სათნოებად მიაჩნია ვისმეს, ეგ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი წინაა-

ღმდგარ მდიდართა უსამართლობისა და საშინელებისა. შრომა საიოჯობისა-კი არ არის, იგი ისეთივე საჭიროებაა ადამიანისათვის, როგორც საზრდოება. ხსი რომ დავხატოთ, მაინც არ დაიშლის ხეტიალს და გარს უვლის ამ სესს, რომელსაც მიაჩნიათ. მდიდარი და მოცლილი ხალხი მისდევს გიმნასტიკას, ჭადრაკების და ჭანდრაკის თამაშობას და სხ. ბარ-იქით ამ ფრანგად მოწყობილ ცხოვრებაში შრომა ის საშუალებაა, რომლითაც ჭკუით დაგვარონ თავიანთი გარეგნობას და ფროკობა. სად მუშაობთ,—ეტყვის აწინდელი მოდაყწე,—საჭიროებაზედ და სასიამოვნოზედ სადარსაყოფ? ხვალე 50,000 ხელის მომჭრაისათვის გაზეთი უნდ გამოცემა, გაგვლის გაშეა აეგო, ზიგჯანს გამოუხეს გზამართო, მანამის არხი გაუჭრა, დაჯვარეულ ოდეს მერე ტომი ხმის თხზულებისა, დაჯხატოს შესანიშნავი სურათი, დაჯწეროს ახალი ოპერა და სხვა. ეს ხალხი სვ რომ არ შრომობდეს, ჯერ იცხოვრებდა ისე, როგორც ცხოვრობს ახლა და ჯერ დაჭირვებდა თავის გარეგნობასაც და ფროკობას.

და ზოლა-კი ამბობს, შრომა სათნოებააო!..

დიუმას წერილის შესახებ-კი გ. ლ. ტოლსტოი სულ სხვა აზრისაა.

დიუმას წერილი წინასწარმეტყველებაა,—ამბობს გრ. ტოლსტოი. თუმცა ჩვენის აზრით წინასწარმეტყველი უდაბნოში უნდა იყვეს და ნადირის ტყავით შემოსილი, მაგრამ წინასწარმეტყველება მაინც წინასწარმეტყველებად უნდა ჩაითვალოს, იმის მიუხედავად, მდიდარ იორდანის ნაპირზედაა წარმოთქმული იგი, თუ მდ. სენის ნაპირს სტამბაში დაბეჭდილი. დიახ, დიუმას სიტყვები ნწორედ წინასწარმეტყველებაა. პირველად იმიტომ, რომ ეს სიტყვები იმის წინასწარმეტყველია, რასაც ფიქრობს და ამბობს ყველაზედ უკეთესი საზოგადოება; მეორედ იმიტომ, რომ ჯერ ეს სიტყვა ეკუთვნის, უნებლიედ ..., მესამედ იმიტომ, რომ თვით ეს სიტყვები შეიცავს იმას განხორციელებას, რასაც წინასწარმეტყველებს!

დიუმა ამბობს: შორს აღარ არის ის დრო, როცა ხალხს შეაქცევს ძლიერი გრძნობა ერთურთის სიყვარულისა. ეხლავე ვხედავთ, რომ შეარაზდულიყვნენ სასულიეროთ ისე აღარა სძულთ ერთმანეთი. მდიდართა და ღარიბთა შორის ბრძოლაში აღარა სჩანს გაშმაგებულთა სიბრაზე, არამედ ვხედავთ, რომ გამარჯვებულთ გული სტკივათ დამარცხებულთათვის და თითონვე ეხმარებიან თავიანთ გამარჯვებასა. ეხლავე ვხედავთ, როგორ გრძელდება ის იზრდება ჯერის შორის სიყვარული, იზრდება, როგორც აკორებული თოვლის გუნდა. ეს ი ზიდავს ყოველ ადამიანს. დიახ, მხოლოდ ერთურთის სიყვარულს შეუძლიან მოსპოს ქვეყნიერებიდან ის ბოროტება, რომელიც დღემდის მრავალ ტანჯვას აყენებს ადამიანთა შორის.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

ავსტრო-უნგრიის ერთ ქვეყანაში, სასოფლობრ სორეჯვეტაში, ცოლმა ერთი სოფელი, სადაც საშინელი ხელობა თურმე აღმოჩნდეს. ეს ხელობა ის არის, რომ მეტად უშნოვლებს გზებს სასაზრებს, რათა ისინი ისთარებში ჭკუზა-

ნის მერე აქეთ-იქით მოწყვლების შესაგროვებლად: საზიარის ფეჟი შეფლედის ხალხი და გაიქითხასსი. მეეზვრათა სამი კაცი, რომელთა სახლშიაც ეხლა დაიპყრა ხსვა-და-სხვა აირალი გზებ ეხლა გზებაში დასასაზრდოებათ თავისთვის. ერთის სახლში 5 ეშმაკის თურმე იყო: ოთხი ქალი და ერთი კაცი, რვა-თორმეტის წლისანი. ორს ქალს ხელ-ფეხი ჰქონდათ განგებ მოტეხილი, მესამეს—თვალები ჰქონდა ამოჩიჩხვლი, ხოლო მეოთხე, რომელიც აღდგომის აქეთ თურმე ნაგდებით ხელში ამ ეხჭეჭოლელის, სულ დაწყლულებული იყო და წყლულებს ჯერ შორი არ ჰქონდათ შეხვეული. კაცს გამოცდებული ჰქონდა ტანი: ორ ფეხსა შუა ჭეჯადით და ზურგებს თურმე უჩეჩდნენ აქეთ-იქიდამ მანამდე, სანამ ფეხზე დგომის თავი ჰქონდა.

—⧫—

## გამოსადეგი ცნობანი

**წყალ-შეუვალი ფეხსაცმელი.** ძალიან ადვილია ისეთი წაღის მომზადება, რომელიც ფეხსაცმელში წყალს არ გაატარებს. მოადვით ორი ბოთლი, სელის ზეთი, ცოტად გაათბეთ, მერე შიგ გაადნეთ 60 მისხალი ქონი, ქვესის მისხალი წმინდა სანთლის კუპრი და იმოდენავე ფისი. ეს ნელთბილი წაღი კარგად უნდა წაუსვათ ფეხსაცმელს და ტყავი დარბილდება და არც წყალს შეუშვებს და არც სინესტეს.

—⧫—

## სამეცნიერო ნაწილი

გერმანიის ქალაქებში, სადაც უნივერსიტეტებია და მათთან საჰიგიენო ლაბორატორიები, პოლიციისა და ქალაქის სამმართველოთა მოხელეებს ჰიგიენის ლექციებს უკითხავენ, რომ მომზადებული იყვნენ საბრძოლველად სხვა-და-სხვა სენთან და ავადმყოფობისთვის დასახმარებლად. საპირო თვითოეულ მოხელეს მოისმინოს მხოლოდ 12 ლექცია. ყველა დაბა-ქალაქის მოხელეს შეუძლიან ამ ლექციებზედ დაესწროს და საპირო ცოდნა შეიძინოს. აი ლექსიების პროგრამა: 1, უმთავრესი ნაწილი ჰიგიენისა, სტატისტიკა სიკვდილისა და მიზეზი ავადმყოფობისა; 2, ნიადაგი და წყალი, წყალის გამოყენება და დაწმენდა; 3, სადგურთა ჰიგიენა: მავნებელი ნაწილი ჰაერისა, ჰაერის გაწმენდა და გათბობა; 4, ჰიგიენა მუშათა სადგომებისა, საავადმყოფოებისა, სკოლებისა და საპატიმროებისა; 5, უწმინდურობის გატანა და კანალიზაცია; 6, საზოგადო და ხინის ფალსიფიკაცია, ბაზრების მეთვალყურეობა; 7 სამრეწველო ჰიგიენა; 8, რა გვარად უნდა მოეწყოს სასაფლაო და როგორ უნდა იმარხებოდნენ მიცვალებულნი; 9, დეზინფექცია.

ლექციების მომსმენთ ნება აქვთ ლაბორატორიებშიაც იარონ, სინჯონ სხვა-და-სხვა აპარატები და პრაქტიკულად შეისწავლონ, როგორ უნდა მათი მოხმარება. წელს ამნაირ ლექციებს უკვე კითხულობენ ბერლინსა, კენიგსბერგს, ბრესლაველსა და მარბურგში.

## ქართული ენა

მამა ქართველთა, კავკასიანთადა სომეხთა იყო თარგამოსი. იგი ცხოვნდა შორის არარატსა და მასისსა 600 წელ. ნათესავი მისი იყო დიდი და ურიცხვი... ვეღარა იტევდა ქვეყანა იგი არარატისა და... წარმოემართა და მოიყვანა ქართლოსი და ძმანი მისნი (გარდა ჰაოსისა) და დაუმკვიდრა მათ ქვეყანა შორის პონტოსა და გურგანსა, და შორის მთისა ორეთისა (რომელ არს ქურთთა ქვეყანასა) და კავკასსა.

ქართლის ცხოვრება

(შემდეგი *)

### თუობითი დახრა

| | ქარ. მე-X ს. | ინგილოური | სვანური | მეგრული |
|---|---|---|---|---|
| კითხვითი. აწმყო | ვარ-მე-ა | ვარ-ა | ხვი-ამი | ვორექ-ო |
| | ხარი-შენ-ა | ხარ-ა | ხი-ა-სი | ორექ-ო |
| | არი-ს-ა | არის-ა | ლი-ა-ჯა | ორენ-ო |
| | ვართ-ა | ვართ-ა | ლიშთ-ა-ნა | ვორეთ-ო |
| | ხართ-ა | ხართ-ა | ხიშთ-ა-სგა | ორეთ-ო |
| | არიან-ა | არიან-ა | ლიხ-ა-ჯიარ | ორენა-ნო [4]) |

| | ქართული | მეგრული | სვანური | ქართ. მე-X ს. |
|---|---|---|---|---|
| წარსული უსრული | ვიყავი? | ვორდაო | ხვარდი-ა-მი | ვარიდ-მე-ა |
| | იყავი? | ორდაო | ხარდი-ა-მი | ხარდი-შენ-ა |
| | იყო? | ორდასო | არდეს-ა-მი | არიედეს-ა |
| | ვიყავითა? | ვორდათო | ხვარდედ-ა-ნა | ვარიდეთ-ა |
| | იყავითა? | ორდათო | ხარდედ-ა-სგა | ხარიდეთ-ა |
| | იყვნენა? | ორდანო | არდეხ-ა-აჯიარ | არიდენ-ა |
| მომავალი | ვიქნები? | ვორდით | მე-ხვეს-ა | ვი-ყვი-ა |
| | | ორდით | ხი-ხვეს-ა | ი-ყვი-ა |
| | | ორდუო | აჯა-ლეს-ა | ი-ყვი-ს-ა |
| | | ვორდითო | ნა-ხვესდ-ა | ვი-ყვი-ფ-ა |
| | | ორდითო | სგა-ხვესდ-ა | ი ყვი-თ-ა |
| | | ორდესო | აჯიარ-ლესხ-ა | ი-ყვი-ან-ა |
| პირობითი თუ ვიქნებოდე | | ქ-ვორდე | ხვარდე | |
| | | ქ-ორდე | ხარდე | |
| | | ქ-ორდას | ირდეს | |
| | | ქუ-ორდათ | ხვარდედ | |
| | | ქ-ორდათ | ხარდედ | |
| | | ქ-ოხდან | არდეხ | |

| დამტკიცებით I უნდა | | | ხეკვესერი |
|---|---|---|---|
| ვიყუე | ოკო [5]) | ვიყჳე | ხვეს |
| იყვე | | იყუე | ხეს |
| იყოს | | იყუას | ლეს |
| ვიყვეთ | | ვიყუათ | ლიშთ |
| იყვეთ | | იყუათ | ხიშდ |
| იყუენ | | იყუან [6]) | ლიხ |

| II უნდა ვიყოფებოდე | ოკო ვორდე | ხეკვესერი ხვარდე |
|---|---|---|
| | ორდე | ხარდე |
| | ორდას | არდეს |
| | ვორდათ | ხვარდედ |
| | ორდათ | ხორდედ |
| | ორდან | არდეხ |

### მიმღეობა.

| | ქართული | სვანური მეგრული |
|---|---|---|
| აწმყო | მყოფი, მყოფელი, არსი(მ-არსი) | მერდე |
| სრული | ყოფილი, ნა-ყოფი | ნარდჷ ყოფირი |
| გერუნდივი | საყოფელი | ლე-რდუნე |

| ქართული | აფხაზური |
|---|---|
| ვი-ყოფ (ვიყოფი, ვიყოფები) | სჰ-ყოუპ |
| ი-ყოფ | უ-ყოუპ |
| ი-ყოფ-ის | დჰ-ყოუპ |
| ვი-ყოფ-ით | ჰა-ყოუპ |
| ი-ყოფ-ით | შუ-ყოუპ |
| ი-ყოფ-იან | ი-ყოუპ |

| ქართული | აფხაზური | ქართული X ს. |
|---|---|---|
| ვიყავ | სჰ-ყან | ვი-ყუინ |
| იყავ | უ-ყან | ი-ყუინ |
| იყო | დჰ-ყან | ი-ყუნა |
| ვიყავით | ჰა-ყან | ვი-ყუენით |
| იყავით | | |
| იყვნენ | შუ-ყან | ი-ყუენით |
| | ი-ყან | ი-ყუნეს |

მომავალი

| | |
|---|---|
| ვი-ყოფებ | სჰ-ყალაპ |
| | უ- — |
| | დჰ- — |
| | ჰა- — |
| | შუ- — |
| | ი- — |

ბრნ. იყავ უყაზ (მამრობ.), ბჰკ ზ(მდედ.)
იყავით შუყაზ

მიმღეობა არსი } იყოუ
მ-ყოფი }

ყოფნა } აყაზარა.
არსება }

ყოუპ, როგორც ქართულში ყოფნა, ლაპარაკში იყოფება ორ ნაწილად [7]) და უკანასკნელი მარცვალი უპ იხმარება იმავე მნიშვნელობით, როგორც ა, არი. მაგ. აჩჰ ანუ ჩჰ ცხენი, აჩი (სვანურად ჩაჟ ლეკურად ჩუ, ჩი), ხოლო ცხენი-ა ჩჰ-უპ, აბნა ტყე, ბნო-უპ ტყეა, აჩაჩბა შერვაშიძე, ხოლო აჩაჩბა დაჰა-უპ შერვაშიძე მთავარი-ა.

| | | |
|---|---|---|
| აგარა | არა | იყოუპ |
| აკვანი | აქ | იყოფის |

უნდა შევნიშნო, რომ აფხაზურში სიტყვებს თავში ემატება ა, ხოლო ქართულში ეს ა არ შეინიშნება. მაგ.

| ქართული | აფხაზური |
|---|---|
| გალობა | აგალააბა |
| ქართველი | ა-ქირთუა |
| წირვა | აწჰრჟა |
| ფრენა | აფრრა |
| დიდი (დია, დიალ) | ადჰუ |
| ზარი (გლოვა) | აზარ |
| მაყარი | ამაყარა |
| კუ | აკუ |
| გამდელი | აგანდალ |
| კირი | აკირპ |
| ფაშვი(ინგილ.ფაშე) | აფაშ |
| გული (სვან. გუ) | აგუ |
| ლომი | ალმ |
| ხურმა | ახურმა |
| მწუხრი (ღამე) | აწჰხ |
| ცილა | აცილ |
| მხალი | ახულ |
| ფონი | აფან |
| ჩონგური | აჩანგურჰ |
| ბეღურა | აბაღრე |
| ბია | აბია |
| ბარდი | აბარდ |
| ლაგამი | ალაგამ |
| გუთანი | აკუთან |
| მაჭარი | ამაჭარ |
| გემო | აგემა |
| კიბე | აკიმ |
| ბოსელი | აბოურა და მრ. სხ. |
| კვირიაკის თვე | აკურკვა *) |
| ლაშა | ალაშარ. |

მოსე ჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)

—⧫—

1 სექტემბერს მომხდარ ტირაჟში მეორე შინაგან სესხისა 500 მანათიანი მოგება ხვდა შემდეგს ბილეთებს:

1: 2776 10804, 11525, 14492, 16286.
2: 1116, 2199, 6678. 11072, 12137, 13658, 17109, 17749, 19260.
3: 2358, 4421, 4660, 6163, 7991, 1889.
4: 1260, 2244, 2668, 6153, 8589, 8772, 11336, 12454.
5: 4500, 8789, 9785, 13984, 16738, 17531.
6: 67, 840, 3447, 8951, 19422.
7: 7593, 9608, 10901, 13610, 16022, 16212, 19216.
8: 2948, 4184, 8019, 8582, 10601, 11855, 12192, 19805.
9: 897, 1253, 3982, 5298, 10083, 11445, 11900.
10: 193, 652, 9425, 1099, 11070, 14946.

---

[4]) ყველა ეს ფორმები რუსულად გადმოიცემა ასრე: есмь-ли я; მაშასადამე ყველგან ა ნიშნავს ли-ს და არის შემოკლებული ზმნიდამ არი, რომელიც უდრის სვანურს ლი (ცხენი-ა=ჩაჟ-ლი). სვანურში მი, სი, ჯა (დასაწყისია აჯა) ნა, სგა, ჯიარ (აჯიარ) უდრის ქართულს: მე, შენ (ლაზურად სინ და ქართულად ჩჩვილთა ენით სე, სენ და შემოკლებულად შე, მაგ. შე კაცო), იგი (ხგი, იგ), ჩუენა, თქუენ (მეგრულად თქვა), იგინი).

*) იხ. «ივერია», № 189.

[5]) ოკა სიტყვიდამ კორინი, ნდომა.

[6]) ყ გამოითქმის ისე, თითქო ნახევარი ხმა ისმისო.

[7]) მაგ. ზმნიდამ ყოფნა გვაქვს ყო (ვ-ყავ, ყავ, ყო) და სუფევა (ვ-სუფევ, სუფევ და სხ. და ჩემის აზრით, სიტყვები სეფე, მეფე (მიმღეობა) წარმომდგარან ამ ფესვიდგან).

*) ქართლის ცხოვრება გვეუბნება, რომ თამარის ძეს გიორგის ნართაულად ეწოდა ლაშა აბსართა (აბხაზნი თავის თავს აბსუას ეძახიან) ენითა. ალაშარა აბხაზურად ნიშნავს სინათლეს. მაშასადამე ლაშა გიორგი ანუ ბრწყინვალე გიორგი. წერეთელმა-კი სთქვა, რომ ვითომ თამარს სცოდნოდეს სიტყვა Лучъ და ამის მიმსგავსებით თავის შვილისთვის ეწოდებინოს ლაშა!!!

11: 84, 621, 14273, 16884, 18902.
12: 4934, 6375, 7593, 8204, 9561, 16282, 19962.
13: 8576, 13135, 14548.
14: 92, 679, 1950, 2254, 11379.
15: 2209, 4156, 14581.
16: 2929, 8848, 18532, 18952, 19624.
17: 4317, 5331, 6245, 7076, 9884, 16042, 17217.
18: 2154, 3934, 8263, 9201, 10751, 14934, 17633, 18263, 18919, 19062.
19: 16382.
20: 11021, 11188, 11550, 17878.
21: 16946, 18845.
22: 898, 3918.
23: 10388.
24: 2394, 5196, 8870, 9597, 17881, 18241.
25: 746, 5337, 9546, 11124, 13621, 19066.
26: 5804, 12304, 12382, 15222, 19665.
27: 3239, 15581, 17315, 18019.
28: 2299, 2520, 6441, 8548, 13627, 18962, 19086.
29: 1547, 2126, 3768, 5627, 6838, 9546, 12550, 14675, 16056.
30: 2378, 8462, 8759, 13417, 13719, 13768, 18641.
32: 5970.
33: 7029, 8235, 16258.
34: 17705.
35: 1974, 3213, 14927, 18408, 19811.
36: 455, 1670, 2352, 6365, 8658, 8954, 13625, 14765, 15033, 18767, 19087.
37: 5083, 7876, 9834, 10047, 11387, 15153, 17503.
38: 7317, 7743, 9122, 9209
39: 12, 4250, 8920, 11404, 12971, 13570.
40: 2035, 11290, 5007, 16752.
41: 8048.
42: 1545, 9479, 10856, 13652, 16261, 16790, 18307, 19132.
43: 8068, 11611, 11922, 13182, 14519.
44: 12891, 16691, 19267.
45: 656, 3696, 6505, 6595, 9911, 10801, 13032, 13528, 14457, 15735, 17859, 18111,
46: 3161, 3240, 7396, 8574. 13447, 17402, 18399.
47: 3533, 5875, 8878, 9045, 10429, 11429, 11843.
48: 856, 13747, 13879, 19305.
49: 5254, 2658, 13429.
50: 6796, 9694.

ტირაჟში გამოვიდა 102 სერია:

16,211, 18,796, 887, 14,830, 18,928, 877, 1,242, 2,429, 11,449, 9,465, 2,424, 16,236, 17,829, 1,754, 18,575, 1,838, 16,940, 11,005, 6,793, 2,030, 8,997 15,733, 14,650, 12,478, 9,334, 8,638, 11,695, 7,275, 14,638, 11,816, 4,755, 14,466, 10,388, 18,301, 5,184, 19,825, 13,249, 4,156, 5,355, 16,050, 14,803, 9,624, 19,689, 18,044, 13,270, 10,314, 12,102, 5,611, 18,321, 5,183, 18,511, 17,596, 10,825, 11,532, 7,117, 17,463, 16,855, 8,469, 5,359, 3,047, 8,496, 10,043, 15,692, 15,485, 720, 11,702, 1,112, 12,357, 12,614, 5,524, 9,860, 1,824, 6,418, 3,023, 6,077, 14,127, 5,532, 15,550, 7,400, 2,279, 5,649, 3,427, 15,604, 4,735, 5,303, 17,478, 14,040, 13,688, 15,728, 10,786, 1,597, 9,326, 8,019, 13,648, 3,249, 11,855, 19,257, 14,967, 382, 9,956, 485, 424.

პეტერბურგის ბირჟა, 7 სექტ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | $7_{,69}$ | $7_{,72}$ | — ,, |
| ტრამოტის კუპონები . | $153^1/_2$ | $153^1/_4$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგებიანი ბილეთი . . . | — ,, | — ,, | $241^1/_2$ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | $219^1/_2$ |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | $193^1/_2$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | $100^1/_2$ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | 100 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | $100^1/_4$ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | 100 | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | $98^1/_2$ |

„ივერიის“ ფოსტა

**ბოდბის-ხევი. ი. ჯ—ს.** სანამდის თითონ რედაქცია არ განიხილავს თქვენგან ნაქებ დაბეჭდილს წიგნებს, მანამდის ამ საგანზედ გაზეთში არა ითქმის-რა.

## გამოსადეგი ცნობანი

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 2 წ. საღ.

. . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 20 წ შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 30 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 20 წ. დილ.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

**მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ**

**ბათუმიდამ გადის:**

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკშის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალ-

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

**ფოთიდგან გადის:**

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც


## განცხადებანი

უფრთხილდით ყალბსა და მინაგვარს.

მოსკოვის სამკურნ. მმართველობისმიერ გაკეთება და გაყიდვა ქერტლის მომსპობელ საპნისა ნება-დართულია, როგორც არა მავნე ჯანმრთელობისათვის.

საპონი

**ა. მ. ოსტროუმოვისა**

ჩემი გაკეთებული საპონი სპობს თავის ქერტლსა. ამისათვის საკმარისია ამ საპნით კვირაში ერთხელ თავის დაბანვა, სხვა საპნის მაგიერ, შინ, აბანოში ანუ მდინარეში ბანაობის დროს. ამ საპონში მავნე არა ურევია-რა და ამის გამო ბავშვების დასაბანადაც გამოსადეგია. ვისაც-კი ეს საპონი უცდია, ყველა აქებს და ამის გამო ძალიან ბევრი იყიდება.

ისყიდება რუსეთის აფთიაქებში და სააფთიაქო მაღაზებში და საზღვარ გარედაც.

პროვიზორი ა. მ. ოსტროუმოვი

(1—1)

**კბილის ექიმი**

**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—97)

დაიბეჭდა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრც. საზოგად. წიგნის მაღაზიაში და მის აგენტებთან

**ცა და დედამიწა**

ალექსანდრე ივანოვისა

თარგმანი

**დ. გიორგობიანისა**

გამოცემა

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ფასი ე რ თ ი აბაზი

**ნიფვხის**



**თმის საღებავი**

**ვ. ბენესი.**

ქ. ვენაში.

უვნებელი წამალი სწრაფად შესაღებად თმისა და წვერისა შავად, ქერად და წაბლის-ფერად. ფლაკონი ღირს გაგზავნით 3 მანეთი.

უმთავრესი საწყობი რუსეთისათვის

В. АУРИХЪ,

С,-Петербургъ,

Колокольная 18.

(6—5)


## გამოსადეგი ცნობანი

### პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ე. მ. ჩიქოვანი, 9—$10^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტაშში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—$11^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვეისა და. დედათა სქესისა.

ი. ფ პროტასევიჩი, $11^1/_2$—$12^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: ყურ ს, ყელის და ცხვირისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. ა. გადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, $7^1/_2$—8 საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

## წინამძღვრიანთ კარის სასოფლო მეურნეობის სკოლაში

წინამძღვრიანთ კარის სასოფლო მეურნეობის სკოლაში 1 სექტემბრიდამ 5-მდე მიღებულ იქნება ჯანმრთელი ყმაწვილები, არა ნაკლებ ათის წლისა, ყველა წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

ვისაც სურვილი აქვს სკოლაში ყმაწვილი მიაბაროს, იმან უნდა პირად ანუ წერილით განუცხადოს თავისი სურვილი სკოლის მზრუნველს ილია ივანეს ძეს წინამძღვრიშვილს (მომრიგებელს მოსამართლეს) ქ. ტფილისში, სკოლის ზედამხედველს სოფ. წინამძღვარიანთ კარში, წარმოადგინოს ყმაწვილის წლოვანების მოწმობა, სინოდის კანტორიდამ მიღებული, ან მღვდლისაგან მიცემული აღმოწერილობა წლოვანების წიგნიდამ და იმ სკოლის მოწმობა, სადაც ბავშვს უწინ უსწავლია. გამოცდა ყმაწვილებისა მოსამზადებელს კლასის პირველს განყოფილებაში არ იქნება. მხოლოდ ვინც მოსამზადებელ კლასის დანარჩენ განყოფილებაში შესვლას მოინდომებს, იმას უნდა ჰქონდეს შესაფერი მომზადება და სწავლა.

სასწავლო სკოლის კურსს შეადგენენ: 1) საღმრთო წერილი, 2) ქართული და რუსული ენები, 3) არითმეტიკა და პრაქტიკული გეომეტრია, 4) სამშობლოს შესწავლა, მოკლე გეოგრაფია რუსეთისა და ევროპის სახელმწიფოებისა და საზოგადო მიმოხილვა ქვეყნებისა, 5) ბუნების მეცნიერება, 6) სამეურნეო საგნები: მიწის შემუშავება, მებაღობა, მებოსტნობა, ვაზის მოვლა-მოშენება, ღვინის დაყენება, საქონლისა და აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოშენება, მეფუტკრობა, და სასოფლო მეურნობის ანგარიშის ცოდნა, 7) ხატვა, 8) საეკკლესიო და საერო გალობა, 9) სწავლა ხელოსნობისა: დურგლობისა, მჭედლობისა და წიგნების კაზმისა.

სკოლაში ყმაწვილები უსასყიდლოდ მიიღებენ სწავლას და ყველა სასწავლო ნივთებს, მხოლოდ დედ-მამამ, ანუ იმათმა მოადგილემ უნდა ყმაწვილს სოფელში ბინა უშოვოს, ჩააცვას და დახუროს.

სკოლაში მიიღებიან ისეთი მოზრდილი ყმაწვილებიც, რომელთაც სწავლა სხვა სასწავლებელში გაუთავებიათ და სურვილი აქვთ სასოფლო მეურნეობა შეისწავლონ და ფერმაში ივარჯიშონ.

შორ მხრიდამ მოყვანილ ყმაწვილებისათვის სოფ. წინამძღვრიანთ კარში გამართულია სკოლის ხარჯით 30 შეგირდისათვის სადგური. ყველა საქმეს ამ სადგურისას თვით სკოლის პედაგოგიური კრება განაგებს. თითო შეგირდის შესანახავად დანიშნულია ჯერ-ჯერობით თვეში შვიდი მანათი, შემდეგში სკოლის მმართველობა ეცდება, ეს ფასი შეამციროს. ყმაწვილს დილა-საღამოს მიეცემა სტაქანი ჩაი, ანუ რძე პურით, შუადღისას საუზმე და სწავლის შემდეგ სადილი თითო კერძი: ხსნილში სახსნილო და მარხვაში სამარხვო. კვირაში ერთხელ საცვალი გამოეცვლებათ.

ვისაც სურს მიაბაროს ყმაწვილი სკოლის სადგურში, იმან უნდა წარმოადგინოს: შესანახავი მთელი წლის ფული 84 მანეთი.

ყმაწვილს უნდა ჰქონდეს კრაოტი (შეუძლიან შემოიტანოს სამი მანათი კრაოტის სასყიდლად), ქვეშაგები, სამი ხელი საცვალი და სამი ხელი სკოლისათვის დაწესებული ტანთსაცმელი: ერთი საზამთრო და ორი საზაფხულო.

ფული და ყოველგვარი წერილები გამოიგზავნება შემდეგის ადრესით: Станція Мцхетъ, смотрителю Цинамсгваріантъ-карской селско-хозяйственной школы.

Доз. ценз. Тифлисъ, 9-го Сентября 1893 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე